

# პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა



დოკუმენტი მოგადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ექსპერტ  
თამარ ქალღანთან თანამშრომლობით



პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ექსპერტი, თამარ ქალდანი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Human Rights 4All



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი




# სარჩევი

აბრევიატურების ნუსხა	01
შესავალი	03
საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ევროკულ სტანდარტებთან დაახლოება	05
108+ კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება	09
პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეების მოკლე მიმოხილვა	13
სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	17
2021-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავება	21
სხვა მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები	23
▪ ეკიდემიასთან დაკავშირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვა	23
▪ საარჩევნო პროცესში მონაცემთა დამუშავება	24
▪ უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის ბრალდებები	25
დასკვნა	29

# აბრევიატურების ნუსხა

ასოციაციის შეთანხმება	ასოციაციის შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
ასოციაციის დღის წესრიგი	ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციაციის დღის წესრიგი 2017-2020 წლებისთვის
COE	ევროპის საბჭო
კონვენცია 108+	პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ მოდერნიზებული ევროპული კონვენცია
EU	ევროპის კავშირი
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
GDPR	მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია
საია	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა სტრატეგია	ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია 2021-2030
ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა	ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის
ადამიანის უფლებათა კომიტეტი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
IRC	ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა



## შესავალი

2020-2021 წლებში, ალბათ, არცერთი ანგარიშის შესავალი არ დაწერილა კოვიდ-19-ის ხსენების გარეშე. როგორც ყველგან, გლობალურმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, საპარლამენტო არჩევნებსა და პოლიტიკურ კრიზისთან ერთად, გავლენა იქონია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობაზე საქართველოში, შეაფერხა მოსალოდნელი საკანონდებლო ცვლილებების მიღებისა და საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების პროცესი.

ანგარიშში შეფასებულია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ასოცირების დღის წესრიგით<sup>1</sup> გათვალისწინებული მთავარი პრიორიტეტების დანერგვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის<sup>2</sup> განხორციელების პროგრესი. დოკუმენტში ასევე მოცემულია ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, ცვლილების შესაძლო გზები და რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ყველაზე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> ასოცირების შეთანხმება, ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/>

<sup>2</sup> ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <http://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020?sphere=740&goal=741&task=>



**საქართველოს პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის კანონმდებლობის ევროკულ  
სტანდარტებთან დაახლოება**



## საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება

ასოცირების შეთანხმების მე-14 მუხლი წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობის მყარ საფუძველს ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ასოცირების დღის წესრიგის საშუალოვადიან პრიორიტეტებში შედიოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილების გაძლიერება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს ყველა სექტორში დანერგვის უწყვეტი გაგრძელება, საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის უახლეს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება. მსგავსი პრიორიტეტები აისახა მთავრობის სამოქმედო გეგმაში, ევროპის საბჭოს 108+ კონვენციასთან და ევროკავშირის GDPR-თან შესაბამისობაზე მკაფიო მითითებით.

ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, 2018-2019 წლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონპროექტი და სხვა თანმხლები საკანონდებლო ცვლილებების პროექტები.<sup>3</sup> დოკუმენტების შემუშავების პროცესი და ევროპელი ექსპერტის ჩართულობა ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი ინიციატივის - „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა. 2019 წლის 22 მაისს პარლამენტის წევრებმა (სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ანრი ოხანაშვილი და სხვა.) მოახდინეს საკანონდებლო პაკეტის ინიცირება. წამყვანი როლი განესაზღვრა ადამიანის უფლებების კომიტეტს, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ევროპული ინტეგრაციის კომიტეტებს დაევალებათ კანონპროექტზე დასკვნის წარმოდგენა.

საკანონდებლო ციკლის გაგრძელებისთვის სავალდებულო დასკვნების მიწოდების შეყოვნების გამო, კანონპროექტის განხილვის ვადა გაგრძელდა 2019 წლის 10 ოქტომბრამდე.<sup>4</sup> სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად ადვოკატირებდა კანონპროექტის დროულ განხილვასა და საკანონმდებლო პაკეტის მიღებას. ინსპექტორის სამსახურის ინიციატივითა და მონაწილეობით გაიმართა რამდენიმე

<sup>3</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საკანონდებლო პაკეტის პროექტი და ყველა სხვა დაკავშირებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>

<sup>4</sup> ბიუროს გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია : <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/230477>

შეხვედრა პარლამენტისა და მთავრობის წამომადგენლებთან. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, UNDP, და OHCHR ასევე მტკიცედ უჭერდნენ მხარს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონპროექტის დროულ მიღებას. 2020 წლის ივნისში, არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა ღიად მოუწოდა პარლამენტს დისკუსიების განახლებისა და კანონპროექტის მიღებისაკენ,<sup>5</sup> იმის შესენებით, რომ მოძველებული კანონი არ პასუხობდა არსებულ გამოწვევებს. მიუხედავად ამისა, წინა მოწვევის პარლამენტმა ვერ განაახლა საკანონდებლო პროცესი და თითქმის ორი წელიწადია კანონპროექტი პარლამენტის კომიტეტში განხილვის საწყის ეტაპზეა.

2021 წლის 3 თებერვალს, ახლადარჩეული პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული პროცედურების გაგრძელების მიზანშეწონილობა და, დადებითი დასკვნით, ხელი შეუწყო საკანონდებლო პაკეტის შესახებ დისკუსიების განახლებას. თუმცა, 2021 წლის 8 აპრილის მდგომარეობით, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა ჯერ არ შემდგარა, არც იურიდიულ საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებს წარმოუდგენიათ დასკვნები.

მომავალი საპარლამენტო განხილვების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელმწიფო ინსპექტორ - ლონდა თოლორაიას მიმართვის საფუძველზე ევროპის საბჭოს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე<sup>6</sup> ევროპის საბჭომ შეისწავლა კანონპროექტის შესაბამისობა მონაცემთა დაცვის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან მიმართებით, საჭიროებისას GDPR-ის გათვალისწინებით. ევროპის საბჭოს მოსაზრებამ დაადასტურა, რომ საკანონდებლო პაკეტი მეტწილად შეესაბამება 108+ კონვენციას. ის ამყარებს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, მონაცემთა დამმუშავებელთა ვალდებულებების მიმართებით შემოაქვს მთელი რიგი სიახლეები და აძლიერებს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო და სააღსრულებო უფლებამოსილებებს. ამასთან, ევროპის საბჭოს მოსაზრებაში გამოხატული იყო წუხილი კანონის გავრცელების სფეროსთან დაკავშირებით და რეკომენდირებული იყო სახელმწიფო უსაფრთხოების და სადაზვერვო სამსახურებზე მისი შეზღუდული სახით გავრცელების გადახედვის საჭიროება.

<sup>5</sup> განცხადება ხელმისაწვდომია: [http://irc.ge/new/index.php?m=123&news\\_id=107&lng=geo](http://irc.ge/new/index.php?m=123&news_id=107&lng=geo)

<sup>6</sup> Opinion of Directorate General Human Rights and Rule of Law, Information Society – Action Against Crime Directorate Information Society Department prepared based on the expertise by Graham Sutton and Maria Michaelidou, DGI (2020)12 Strasbourg, 3 July 2020

საკანონდებლო პროცედურების დროულ გაგრძელებასთან ერთად, აუცილებელია, რომ კანონპროექტის ტექსტში შენარჩუნდეს GDPR-ს შესაბამისი პროგრესული დებულებები და მოდალობები, რომლებიც განამტკიცებენ ინდივიდების დაცვის გარანტიებს და ამაღლებენ მონაცემთა დამმუშავებელი ყველა პირის/ორგანიზაციის, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ კანონის გავრცელების შეზღუდვის რეჟიმი წარმოადგენდეს გამონაკლისს, 108+ კონვენციის და ECHR-ის სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად, და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება თანხვედრაში იყოს ადამიანის სხვა უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან, განსაკუთრებით გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებებთან. მეტიც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების განხორციელება არ უნდა გამოიყენებოდეს ოფიციალური დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ძირითად საშუალებად.<sup>7</sup>


სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად უნდა ჩაერთოს განხილვებსა და კონსულტაციებში კანონპროექტის ტექსტის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის საია-ს,<sup>8</sup> IDFI-ს<sup>9</sup> და IRC-ს<sup>10</sup>, პარლამენტისთვის წერილობით წარდგენილი წინადადებებისა და მოსაზრებების განხილვას. საია-ს და IDFI-ს მთავარი შენიშვნა ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე საჯარო ინტერესის ტექსტის გავრცელების უზრუნველყოფასა და სათანადო ინტერპრეტაციას, ხოლო IRC შემოთავაზებით, უნდა გაფართოვდეს მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასების (PIA) გამოყენების სფერო და გაორმაგდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმები.

<sup>7</sup> Explanatory Report to the Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (page 3), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/cets-223-explanatory-report-to-the-protocol-amending-the-convention-fo/16808ac91a>

<sup>8</sup> საია-ს მომზადებული კომენტარები, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yyZe2o>

<sup>9</sup> IDFI-ს მომზადებული კომენტარები, ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/ge/idfi\\_submitted\\_its\\_opinion\\_to\\_parliament\\_on\\_the\\_draft\\_law\\_on\\_personal\\_data\\_protection](https://idfi.ge/ge/idfi_submitted_its_opinion_to_parliament_on_the_draft_law_on_personal_data_protection)

<sup>10</sup> IRC-ს მომზადებული კომენტარები: [http://irc.ge/new/uploads/IRC\\_.pdf](http://irc.ge/new/uploads/IRC_.pdf)



**108+ კონვენციის ხელმოწერა  
და რატიფიცირება**

## 108+ კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება

GDPR-ს და 108+ კონვენციას აქვს საერთო დნმ. ორივე სამართლებრივ ჩარჩოზე მუშაობა მიმდინარეობდა პარალელურად, რამდენადაც ამ დოკუმენტების თანამიმდევრულობა აუცილებელი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რომლებზეც იმავდროულად კონვენციით არიან შებოჭილნი. GDPR-ის ძალაში შესვლამდე ერთი კვირით ადრე, 2018 წლის 18 მაისს, 108-ე კონვენციის მოდერნიზების პროცესი დასრულდა ცვლილებების ოქმის მიღებით<sup>11</sup> მოდერნიზაციის შედეგად, 1981 წლის კონვენციის თავდაპირველი პრინციპები კიდევ ერთხელ დადასტურდა, გაძლიერდა და შეიქმნა დაცვის ახალი გარანტიები. გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მონაცემთა უსაფრთხოებისა და ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინების პრინციპები ახლა 108+ კონვენციის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია.

კონვენციის მხარეებს აღარ აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ განაცხადი მონაცემთა დამუშავების რომელიმე სფეროზე (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების და თავდაცვის მიზნებისთვის) კონვენციის მოთხოვნათა არ გავრცელების შესახებ. მათ შეუძლიათ ზოგიერთ დებულებაზე გამონაკლისის გაკეთება მხოლოდ მაშინ, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, პატივს სცემს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსს და წარმოადგენს საჭირო და პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში: სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვისათვის; სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური ინტერესისთვის; სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობისთვის ან სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციის, გამოძიების, სამართლებრივი დევნის და სასჯელის აღსრულებისთვის; ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესის სხვა არსებითი მიზნებისთვის; მონაცემთა სუბიექტის ან სხვათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლების დაცვისათვის. გარდა ამისა, მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობასთან და მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან დაკავშირებული დებულებების გამოყენების შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს კანონით, როდესაც საქმე შეეხება მონაცემთა დამუშავებას საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალი არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის, თუ არ არსებობს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის შეცნობადი რისკი.

<sup>11</sup> Protocol amending the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (CETS No. 223), 10 October 2018, ხელმისაწვდომია:

<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/223>

თითოეულმა მხარემ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა ასახოს კონვენციის დებულებების შესასრულებლად აუცილებელი ზომები, მოახდინოს ამ ზომების ეფექტურობის დემონსტრირება და აღიაროს კონვენციის კომიტეტის უფლებამოსილება ახალი მონიტორინგის მექანიზმით (follow-up mechanism) მხარეების შემოწმების შესახებ.

2018 წლის 10 ოქტომბერს 108+ კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა და 2021 წლის მარტის მდგომარეობით მას 39-მა ევროპის საბჭოს წევრმა და 4-მა არა-წევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი, 11-მა კი მოახდინა მისი რატიფიცირება. საქართველო ევროსაბჭოს იმ 8 ქვეყანას შორისაა (ალბანეთი, აზერბაიჯანი, დანია, მონტენეგრო, მოლდოვა, თურქეთი და უკრაინა), რომლებსაც კონვენციისთვის ჯერ არც ხელი მოუწერიათ და არც მისი რატიფიცირება გაუკეთებიათ.<sup>12</sup>

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2018 წლიდან მოუწოდებს მთავრობას გადადგას ნაბიჯები კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიცირებისთვის, სამსახურმა უზრუნველყო კონვენციის ტექსტის არაოფიციალური თარგმანის მომზადება, ორგანიზება გაუწია არაერთ საკონსულტაციო შეხვედრას და ფორმალურ თუ არაფორმალურ ფორმატში მოსაზრებების ურთიერთგაცვლას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო ინსპექტორმა მიმართა ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონ-პროექტისა და მასთან დაკავშირებული ცვლილებების 108+ კონვენციასთან შესაბამისობის თაობაზე მოსაზრების მიღების მიზნით.

**108+ კონვენციის დროული ხელმოწერა და რატიფიცირება ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს პირველ რიგში ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, მათ შორის საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები და ეკონომიკური განვითარების ახალი შესაძლებლობები. მაგალითისთვის ქვემოთ განხილულია მხოლოდ ორი არგუმენტი:**

- **ასოცირების შეთანხმებისა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და პრაქტიკა დაუახლოვოს უახლეს ევროპულ სტანდარტებს. GDPR და 108+ კონვენცია წარმოადგენენ გლობალური მნიშვნელობის სტანდარტების დამდგენ უახლეს სამართლებრივ ინსტრუმენტებს. ორივე სამართლებრივი ჩარჩოს მზარდ გლობალიზაციას ადასტურებს GDPR-ით შთაგონებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონების მზარდი რიცხვი და**

<sup>12</sup> ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი:  
<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/223/signatures>

კონვენციის მიმართ რიგი ქვეყნების მიერ გამოხატული ინტერესი, მათ შორის (1) ნევრ ქვეყნებს შორის მონაცემთა თავისუფალი ტრანსსასაზღვრო გადინებისა და (2) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველი ორგანოების თანამშრომლობის პლატფორმის მიმართ.

- GDPR- ს თანახმად, ევროკავშირის ფარგლებს გარეთ კონკრეტული ავტორიზაციის გარეშე პერსონალური მონაცემების გადაცემის ერთ-ერთი მთავარი გზაა ევროკომისიის “შესაბამისობის გადანყვეტილება”, რომელიც ადასტურებს, რომ მესამე ქვეყანა უზრუნველყოფს დაცვის ადეკვატურ დონეს. დაცვის ხარისხის შეფასებისას ევროკომისია ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მესამე ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს ან სხვა ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა სამართლებრივად მხოქავი კონვენციებით ან პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტებით. GDPR-ის შესავალის 105-ე პუნქტში ასევე მითითებულია, რომ 108-ე კონვენციასთან მიერთება „განსაკუთრებით მიიღება მხედველობაში.“ კონვენციის რატიფიცირება და ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან კონსოლიდაცია ზრდის საქართველოს "შესაბამისობის გადანყვეტილებების" მიღების შანსებს, რაც საქართველოს უწყებებს მისცემს შესაძლებლობას გამოიყენონ ევროკავშირისა და მისი ნევრ სახელმწიფოების ინსტიტუციებთან პერსონალური მონაცემების მიმოცვლის უფრო ეფექტური მექანიზმები. ეს ასევე ხელს შეუწყობს ქართული კომპანიების პრივილეგირებულ წვდომას ევროკავშირის ერთიან ბაზარზე და ევროკავშირის ოპერატორებისთვის კომერციული არხების გახსნას.





**კირაღ ცხოვრებასთან დაკავშირებული  
საკონსტიტუციო სასამართლოს  
საქმეების მოკლე მიმოხილვა**



## პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეების მოკლე მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა პირადი ცხოვრების უფლებას, მაგრამ ამ ანგარიშის მიზნებისათვის, მოკლედ განხილულია მხოლოდ ორი ბოლო-დროინდელი/განხილვის პროცესში მყოფი საქმე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის კონკრეტული დებულებების ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტზე ხელმისაწვდომობას.<sup>13</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები ადგენდა ბალანსს პირადი მონაცემების დაცვის სასარგებლოდ და ხელს უშლიდა სასამართლო ხელისუფლებასა და სასამართლოს აქტებზე საზოგადოებრივ ზედამხედველობას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, როდესაც საკანონმდებლო ორგანოს პირადი ცხოვრების უფლების სასარგებლოდ დასჭირდება ბალანსის გაკეთება (მაგ., არასრულწლოვნებთან ან პირადი ცხოვრების ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებულ საქმეებში) და შესთავაზა მონაცემთა სუბიექტებისთვის მექანიზმის შექმნა, რომლითაც ისინი უარს განაცხადებენ თავიანთი მონაცემების ხელმისაწვდომობაზე. საკანონმდებლო რეგულირების „სიცარიელის“ თავიდან აცილებისთვის, რაც შეიძლებოდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას გამოწვევა, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო დებულებების ძალა-დაკარგულად ცნობა გადადო 2020 წლის პირველ მაისამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიცემული გონივრული ვადის მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად არც საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულა და არც ისეთი ეფექტური მექანიზმი დანერგილა, რომელიც მონაცემთა სუბიექტს მისცემდა შესაძლებლობას საკუთარი მონაცემების გამჟღავნებაზე უარის თქმის უფლების რეალიზება მოეხდინა. IDFI-ს 2021 წლის კვლევამ სასამართლო სისტემის გამჭვირვალობაზე<sup>14</sup> გამოავლინა, რომ საჭარო

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268>

<sup>14</sup> სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fFKGp6>

ინფორმაციის გამოთხოვისას საერთო სასამართლოები არ გასცემენ გადაწყვეტილების სრულ ტექსტს (პერსონალურ მონაცემების დაშტრიხვის გარეშე), მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლების ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულ ტექსტზე წვდომას ძალადაკარგულია 2020 წლის 1-ლი მაისიდან. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის იმ ჩანაწერის საპირისპიროდ, რომელიც ღიად მიუთითებს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე,<sup>15</sup> სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში 2020 წლის 30 აპრილის შემდეგ სასამართლოების მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული. **აუცილებელია, ახლად არჩეულმა პარლამენტმა ზემოხსენებული საკითხი დროულად განხილოს და მომავალი საკანონმდებლო რეგულაცია პატივს სცემდეს და სრულად შეესატყვისებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.**

საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მაღალი საჯარო ინტერესის გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს ფარული მიყურადების სამართლებრივ ჩარჩოსა და პრაქტიკაზე, უკავშირდება 2017 წლის 6 აპრილს სახალხო დამცველისა და საქართველოს 326 მოქალაქის მიერ შეტანილ საკონსტიტუციო სარჩელებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე გამოიკვლია და არაკონსტიტუციურად სცნო ნორმები, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ანიჭებდა უფლებამოსილებას პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა ჰქონოდა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელზე და ორ წლამდე ვადით შეენახა მოპოვებული მეტა-მონაცემები. სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის საზედამხებდველო მანდატი არ იყო საკმარისი გარე კონტროლის ადეკვატურად და ეფექტურად განხორციელებისთვის.<sup>16</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 14 აპრილს სადავო ნორმები სცნო არაკონსტიტუციურად, მაგრამ გადადო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა 2017 წლის 31 მარტამდე.<sup>17</sup> 2017 წლის მარტში, პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც შეიცვალა ფარული მიყურადების ტექნიკური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება და გადაიხედა ზედამხებდველობის სქემა. თუმცა, სახალხო დამცველმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა განმცხადებლებმა ჩათვალეს, რომ მიღებული კანონმდებლობა ეწინააღმდეგებოდა 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს ახალი სარჩელებით. განმცხადებლები ითხოვენ არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი ელექტრონული კომუნიკაციისა და სსიპ -

<sup>15</sup> საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=41>

<sup>16</sup> დამატებითი ინფორმაცია საქმეზე იხ. IDFI-ს პუბლიკაციაში „ფარული მიყურადება საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი“, ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/public/upload/Rule\\_of\\_Law/secret\\_surveillance\\_in\\_georgia-GEO.pdf](https://idfi.ge/public/upload/Rule_of_Law/secret_surveillance_in_georgia-GEO.pdf)

<sup>17</sup> გადაწყვეტილება N1/1/625,640, ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2299>

- ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კანონების და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს ფარულ მიყურადებასა და ჩანერას, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ კომუნიკაციების მონაცემებზე რეალურ დროში წვდომას და მის კომპეტენციას განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საიდენტიფიკაციო მონაცემების კოპირება და შენახვა. **საქმის ბოლო მოსმენა ჩატარდა 2019 წლის აპრილში,<sup>18</sup> და მას შემდეგ, სასამართლო გასულია გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება გამოიწვიოს საგამოძიებო და კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის საკომუნიკაციო მონაცემების ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვა და მისცეს ბიძგი გარე ზედამხედველობის მექანიზმების განვითარებას.**



<sup>18</sup> ინფორმაცია : <https://constcourt.ge/ka/media/news>



**სახელმწიფო ინსპექტორის  
სამსახურის საქმიანობის  
მოკლე მიმოხილვა**

## სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური კარგად ფუნქციონირებადი დამოუკიდებელი ინსტიტუტია, თუმცა ინიცირებული ცვლილებების კანონპროექტის მიღებით, სამსახურის საგამოძიებო და სააღსრულებო უფლებამოსილებები კიდევ უფრო გაძლიერდება. Covid-19 პანდემიამ გავლენა იქონია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობაზე, 2020 წელს მიღებული საჩივრების რაოდენობა შემცირდა. 305 მოქალაქის საჩივრის (2019 წელთან შედარებით 27.3% -ით შემცირება) და 119 შემონმების (წინა წელთან შედარებით 23.3% -ით კლება) საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოავლინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 123 დარღვევა (2019 წლის 135-თან შედარებით), 60 შემთხვევაში შესაბამის პირებს დააკისრა ფინანსური ჯარიმა და 54 შემთხვევაში გაფრთხილება. საქმეთა 59%-ში კერძო კომპანიებს დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, 26%-ში სახელმწიფო უწყებებს, ხოლო 15%-ში სამართალდამცავ ორგანოებს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში ადასტურებს მონაცემთა უსაფრთხოების ზომებთან (30% 2020 წელს, 20% 2019 წელს) და ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავებასთან (24% 2020 წელს, 18% 2019 წელს) დაკავშირებული დარღვევების ზრდას. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის მაჩვენებელი თითქმის იგივე იყო, მაშინ როცა, მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა (15% 2020 წელს, ხოლო 2019-ში 18%) და ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევების მაჩვენებლები შემცირებულია (6% 2020 წელს, 2019 წლის 12%-თან შედარებით). სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ასევე მოამზადა 237 ინსტრუქცია და რეკომენდაცია და 3 129 კონსულტაცია (5%-ით გაიზარდა 2019 წელთან შედარებით) გაუწია სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციას.

კერძო ორგანიზაციების მიმართ საჩივრების წილი 2019 წლის 81%-დან 2020 წელს 77%-ამდე შემცირდა, მაშინ როცა, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ეს მაჩვენებელი გაიზარდა 2019 წლის 11%-იდან 2020 წლის 14%-ამდე. საჩივრების რაოდენობა საჯარო დაწესებულებების მიმართ მხოლოდ 1%-ით არის გაზრდილი (9% 2020 წელს, 8% 2019 წელს).

საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მონაცემთა კატეგორიების, დამუშავებული მონაცემების სენსიტიურობის და მოცულობის ასევე სხვა რისკ ფაქტორების გათვალისწინებით, 2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეიმუშავა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოტენციურად

მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირების კრიტერიუმები. 19 შემთხვევიდან 31% განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით<sup>19</sup>

2020 წელს ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეკომენდაციები Covid-19-თან (კორონავირუსი)<sup>20</sup> ბრძოლის პროცესში, რომელიც ეხება მონაცემთა დამუშავებას სამედიცინო დაწესებულებების მიერ, დასაქმებულთა მონაცემების დამუშავებას, დისტანციური სწავლებისა და დისტანციური მუშაობის დროს მონაცემთა დამუშავებას.

გარდა ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა წარუდგინა რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „Stop Covid“ მობილური აპლიკაციასთან დაკავშირებით. სამსახურმა ასევე შეისწავლა და გასცა რეკომენდაციები სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით, მათ შორის მთავრობის განკარგულებების თაობაზე, რომლებიც არეგულირებენ მონაცემთა დამუშავებას და საჯარო დაწესებულებებს შორის მონაცემთა გაზიარებას ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების და მზლუდავი ზომების გამოყენების მიზნით. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა პანდემიასთან დაკავშირებული მონაცემთა დამუშავების 24 ახალი პროცესი<sup>21</sup>, მათ შორის მონაცემთა დამუშავება NCDC-ს, „კოვიდ-კლინიკების“ და „კოვიდ-სასტუმროების“ მიერ; შსს-ს მიერ ინფიცირებული და თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონაცემთა დამუშავება; ონლაინ სწავლება უნივერსიტეტებსა და სკოლებში; თერმოსკრინინგი აეროპორტსა და სავაჭრო ცენტრებში. ინსპექტირების შედეგად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 12 მონაცემთა დამუშავებელს (7 გაფრთხილება და 5 ჯარიმა). სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ასევე გასცა 25 სავალდებულოდ შესასრულებელი დავალება და 4 რეკომენდაცია.

სამსახურმა ასევე გაავრცელა ინფორმაციული დოკუმენტი საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და სპეციალური ტრენინგი ჩაუტარა საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს. 2020 წელს ინსპექტორის სამსახური აქტიურად იყენებდა ონლაინ ფორმატს თანამშრომელთა შესაძლებლობების განსავითარებლად, მონაცემთა დამუშავებლებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. ინსპექტორის სახელმწიფო სამსახურმა გამოაქვეყნა სხვა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებების კრებულები ჯანმრთელობისა და არასრულწლოვანთა მონაცემების დაცვის სფეროებში.<sup>22</sup>

<sup>19</sup> სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/>

<sup>20</sup> რეკომენდაციები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yiMEo2>

<sup>21</sup> 12 მათგანი საჩივრებზე, დარჩენილი 12 კი საკუთარ ინიციატივაზე დაყრდნობით.

<sup>22</sup> გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ანგარიში მომზადებულია სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობის წლიური ანგარიშის გამოქვეყნებამდე, მიმოხილვა ეფუძნება SIS-ს მიერ გაზიარებულ სტატისტიკას და ვებგვერდზე ხელმისაწვდომ ინფორმაციას: <https://personaldata.ge/>

ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სამართლებრივი ჩარჩოს თანახმად, დამოუკიდებელი და ეფექტური საზედამხებველო ორგანოები განიხილებიან პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად. GDPR ასევე ითვალისწინებს დამოუკიდებელ საზედამხებველო ორგანოების ფუნქციონირების დეტალურ წესებს, მათ შორის დებულებებს მათი ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ეფექტური შესრულებისათვის საჭირო რესურსების შესახებ. ის ასევე ითვალისწინებს 20 მილიონ ევრომდე ან მონაცემთა დამმუშავებლის წლიური შემოსავლის 4% -ამდე ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას. მოქმედი სანქციების სისტემა და პასუხისმგებლობის დაკისრების დროში შეზღუდული ჩარჩო ხშირად ზღუდავს სახელწმიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლებლობას სათანადო რეაგირება მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევებზე და არ წაახალისებს მონაცემთა დამმუშავებლებს განახორციელონ ინვესტირება „პირად ცხოვრების უფლებასთან მეგობრულ“ მონაცემთა დამმუშავების სისტემებში. ამიტომ, სამსახურის სააღსრულებო უფლებამოსილების გაძლიერება და სანქციების გადასინჯვა ძალიან მნიშვნელოვანია.





**2021-2030 წლების ადამიანის  
უფლებათა დაცვის სტრატეგიის  
შემუშავება**



## 2021-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავება

ამ მოკლე მიმოხილვაზე მუშაობის პროცესი დროში დაემთხვა რიგით მეორე ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც გამიზნული იქნება 2021-2030 წლებისთვის. სტრატეგიის შემუშავების პროცესს, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავრობის ადმინისტრაცია, მტკიცედ უჭერს მხარს ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა და ადამიანის უფლებათა კომისარიატი. ადამიანის უფლებათა სტრატეგიის პროექტი ქმნის კონსოლიდირებულ ჩარჩოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის და ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარების ძლიერი და ერთიანი ეროვნული სისტემის განმტკიცებისთვის. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის განმტკიცება. **პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება (მკაფიო მითითება GDPR-სა და 108+ კონვენციაზე) უნდა დარჩეს მოკლევადიან პრიორიტეტებში, ხოლო ახალი კანონმდებლობის ეფექტური განხორციელება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში უნდა იყოს უწყვეტი პროცესი. სტრატეგია მიზნად ასევე უნდა ისახავდეს პირადი ცხოვრების ხელყოფის დარღვევების პრევენციისა და საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესებას, მათ შორის პირადი კომუნიკაციის საიდუმლოების დაცვის მიმართულებით.**





**სხვა მნიშვნელოვანი  
მიღწევები და გამოწვევები**

## სხვა მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები

### აკილეთიასთან დაკავშირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვა

ზოგადად, საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა, არსებითად არ ზღუდავდა მონაცემთა დაცვის უფლებებს. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით "საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ"<sup>23</sup> პერსონალური ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადები შეჩერდა 2020 წლის 23 მაისამდე. უფრო მეტიც, სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილ იყოს შეეჩერებინა საქმის განხილვა თუ გარემოებები არ აძლევდა საქმის დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესაძლებლობას. COVID-19 კრიზისის კონტექსტში, მთავრობამ ასევე გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლით და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლით გათვალისწინებული კონვენციით ნაკისრი გარკვეული ვალდებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობა, მათ შორის მე-8 მუხლთან - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება<sup>24</sup> და შესაბამისად პაქტის მე-17 მუხლთან<sup>25</sup> მიმართებით.

ინფიცირებულთა კონტაქტების მიკვლევის პროგრამების ან სახის ამომცნობი სისტემების ფართომასშტაბიანი და სავალდებულო გამოყენება, აგრეთვე მონაცემთა არაპროპორციული დამუშავება ან პაციენტის ინფორმაციის უკანონო გამჟღავნება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ან პროვაიდერების მიერ არ დაფიქსირებულა. თუმცა, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია 2020 წლის პირველ სექტემბერს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერული სისტემაზე განხორციელებულმა კიბერ შეტევამ.<sup>26</sup> კიბერ შეტევის მიზანი იყო იმ სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციასა და პანდემიის

<sup>23</sup> დადგენილება ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0>

<sup>24</sup> Note Verbale to the Secretary General of the CoE, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16809cff20>

<sup>25</sup> Depositary notification of Georgia, ხელმისაწვდომია: <https://treaties.un.org/doc/Publication/CN/2020/CN.125.2020-Eng.pdf>

<sup>26</sup> დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/ge/russian\\_information\\_war\\_against\\_lugar\\_laboratory](https://idfi.ge/ge/russian_information_war_against_lugar_laboratory)

მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე წვდომა, რომელიც ინახებოდა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მის სტრუქტურული ერთეულების ბაზებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრსა და რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში, რომლებმაც უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლაში.

შსს-ს ცნობით, კიბერ შეტევა განხორციელდა უცხო სპეცსამსახურის მიერ. მოპოვებული ავთენტური დოკუმენტაციის ნაწილი გაყალბებულ დოკუმენტებთან ერთად აიტვირთა ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შსს არ აკონკრეტებს იმ სახელმწიფოს, საიდანაც განხორციელდა კიბერ შეტევა, თავდასხმის წინა შემთხვევები და დებინფორმაციული კამპანია დიდი ალბათობით მიუთითებს რუსეთის კვალზე. შსს-მ განაცხადა, რომ დანაშაულის სწრაფი და ეფექტური გამოძიებისთვის იგი პარტნიორ ქვეყნებს დახმარების თხოვნით მიმართავს. დამატებითი ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ ჯერ არ არის გავრცელებული.

## ▶ საარჩევნო პროცესში მონაცემთა დამუშავება

ინფორმაცია ამომრჩევლებზე მეთვალყურეობისა და მონაცემების დამუშავებით მათზე ზემოქმედების მცდელობების შესახებ პირველად 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს გავრცელდა და მას შემდეგ, სახალხო დამცველი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და დამკვირვებელი ორგანიზაციები მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, უზრუნველყონ მონაცემთა დაცვის პრინციპების უფრო აქტიური გამოყენება და ახალი რეგულაციების მიღება, რომელიც შეზღუდავს ამომრჩეველთა მეთვალყურეობას და აღკვეთს საარჩევნო პროცესში პირადი მონაცემების ბოროტად გამოყენებას.

ODIHR-ს შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშის თანახმად,<sup>27</sup> 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხმის ფარულობა კენჭისყრის კაბინებში ძირითადად დაცული იყო; თუმცა, შემონმებული უბნების უმრავლესობაში, ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემის პროცესის, მათი ნებართვის გარეშე, მუდმივი ვიდეო და ფოტო გადაღება პოტენციურად დაშინების გარემოს შექმნას უწყობდა ხელს.

<sup>27</sup> ანგარიშის 52-ე გვ., ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/3/8/482640.pdf>

ანგარიშის თანახმად, ამგვარი ვიდეო ჩანაწერები ამომრჩევლებზე მეთვალყურეობის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რაც პოლიტიკური დაინტერესებული მხარეების მიერ არჩევნების დღის შემდეგ ბოროტად შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. ანგარიში მოუწოდებს ვიდეო კამერების გამოყენების შესაბამისი რეგულირებისკენ, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი დამაშინებელი ეფექტი და ამომრჩეველთა ნების კონტროლის ან მათთვის შემდგომში არასასურველი შედეგების დადგომის რისკი. ამ რეკომენდაციასთან ერთად, საჭიროა, საქართველოს კანონმდებლობის გადასინჯვა და საარჩევნო კონტექსტში პერსონალური მონაცემების დამუშავების ყოველმხრივი მონესრიგება, ციფრული კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და საარჩევნო კამპანიებში მესამე მხარეთა (third-party) მონაწილეობის ჩათვლით.

## უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის ბრალდებაები

პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების შანტაჟის მიზნით უკანონო აუდიო-ვიდეო ჩანწერა და ამგვარი დანაშაულების გამოძიების არაეფექტურობა საქართველოსთვის სისტემური პრობლემას წარმოადგენს. 2020 წელსაც მოხდა ქალი პოლიტიკოსის და ჟურნალისტის აუდიო ჩანაწერი და პირადი კომუნიკაციის შინაარსი გამოქვეყნება<sup>28</sup> თუმცა, ამ მიმოხილვაში მოცემულია მოკლე ინფორმაცია 2021 წლის დასაწყისში მომხდარი მოვლენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად აკრიტიკებდნენ წინა ხელისუფლებას მასობრივი უკანონო მოსმენების გამო, ბოლოდროინდელი ბრალდებები<sup>29</sup> ქალი პოლიტიკოსისა და ოპოზიციური მედიის მფლობელის ფარულ თვალთვალზე, მნიშვნელოვან შემოთვალისწინებებს იწვევს. ინტერვიუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთან ტელეკომპანია „მთავარზე“ 2021 წლის 21 მარტს გავიდა. „მთავარი“ არხის თქმით, ინტერვიუ 2019 წელს შედგა და გასაუბრების შემდეგ, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების ბრალდებით რესპონდენტი დამნაშავედ ცნეს. რესპონდენტმა ასევე ისაუბრა იმ კადრების განადგურებაზე, რომლებიც 20 ივნისის აქციის დაშლის დროს პოლიციის არასათანადო ქცევის ფაქტებზე

<sup>28</sup> 2020 წელსაც გამოქვეყნდა ქალი პოლიტიკოსის და ჟურნალისტის აუდიო ჩანაწერი და პირადი კომუნიკაციის შინაარსი. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

<sup>29</sup> დამატებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/36763-sus-saidumlo-pailebi-interviu-pirtan-romelits>

ფაქტებზე მიუთითებდა. სახალხო დამცველმა მოითხოვა გამოძიების დროულად დაწყება და აღნიშნა, რომ უკანონო თვალთვალის მსხვერპლები ძირითადად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართული აქტიური ქალები არიან.<sup>30</sup> 22 მარტს, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების შესაძლო დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე.<sup>31</sup>

სახალხო დამცველმა ასევე კომენტარი გააკეთა სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც „TV პირველში“ ამოღების ჩატარების შესახებ გაიცა და აღნიშნა, რომ განჩინება იყო დაუსაბუთებელი და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალს.<sup>32</sup> სასამართლოს განჩინება მიღებული იყო პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა მოქმედ პრემიერ-მინისტრს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსსა და ბერა ივანიშვილს შორის პირადი საუბრის უნებართვო ჩანერას და/ან მოსმენას. ჩანაწერი მოპოვებული იყო ჟურნალისტის კონფიდენციალური წყაროების საშუალებით და ტელეკომპანიამ ის გამოაქვეყნა 2021 წლის 6 მარტს.<sup>33</sup>

მეორე დღეს,<sup>34</sup> 17 არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ საჭიროა ჩანაწერის ნამდვილობის დადგენა, ისინი შეიცავდნენ დანაშაულის ნიშნებს, რამდენადაც მიუთითებენ სოციალურ ქსელში გამოთქმული შეხედულების გამო ახალგაზრდების, მათ შორის არასრულწლოვნების მიმართ დევნასა და მუქარაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს სამართალდამცავ ორგანოებს მიეღოთ ყველა საჭირო ზომა გამოძიებისადმი ნდობის ასამაღლებლად. მათ ასევე ხაზი გაუსვეს, რომ მაღალი თანამდებობის პირების სავარაუდო მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებებში უნდა ექვემდებარებოდეს სამართლებრივ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას.<sup>35</sup> ამ განცხადების მიუხედავად, გამოძიება დაიწყო მხოლოდ პირადი საუბრების უნებართვო ჩანერასა და მის უკანონო გამოყენებასა და გავრცელებაზე.

<sup>30</sup> სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fcsrbR>

<sup>31</sup> IDFI- განცხადება და დამატებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/ge/idfi\\_statement\\_on\\_personal\\_life\\_records](https://idfi.ge/ge/idfi_statement_on_personal_life_records)

<sup>32</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ydf4Qj>

<sup>33</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/tvpirveli/videos/2970638103150461/>

<sup>34</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/346aDJf>

<sup>35</sup> ჩანაწერები მიუთითებდნენ, რომ ახალგაზრდებს, მათ შორის არასრულწლოვნებს, აშინებდნენ და ემუქრებოდნენ სოციალურ მედიაში მათი შეხედულებების გამოხატვის გამო.

შეშფოთება გამოიწვია სასამართლოს განჩინების ფორმულირებამ, რომელიც ნებას რთავდა პროკურატურას TV პირველის ოფისიდან ამოეღო „ელექტრონული მონაცემების მატარებელი“, „კონვერტი ან/და სხვა სახის შეფუთვა“, და განჩინების აღსრულებაზე წინააღმდეგობის განწვევის შემთხვევაში გამოეყენებინა პროპორციული იძულების ზომა. განჩინება გასაჩივრდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ის ძალაში დატოვა<sup>36</sup>. პროკურატურამ განაცხადა,<sup>37</sup> რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი აპირებდნენ ტელეკომპანიაში ძალის გამოყენებით შესვლას, იყო სიცრუე და მოუწოდა „TV პირველს“ ეთანამშრომლა პროკურატურასთან, წარედგინა ჩანაწერები და ელექტრონულ მონაცემების მატარებელი მოწყობილობა ჩანაწერების ავთენტურობის გამოსაკვლევად. 11 მარტს, „მედია კოალიციამ“ მოუწოდა საერთაშორისო პარტნიორებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ამ საქმისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოძიების მიმართულებამ კვლავ შექმნა საფრთხე მედია გამხდარიყო პოლიტიკური ანგარიშსწორების სამიზნე<sup>38</sup>.

ადვოკატის თქმით, მოგვიანებით, ჟურნალისტები ნოდარ მელაძე და მაკა ჩიხლაძე სასამართლოს წინაშე გამოიკითხნენ. ვინაიდან კითხვები წყაროს იდენტიფიცირებისკენ იყო მიმართული, ჟურნალისტებს ჰქონდათ პრივილეგია, არ გაემჟღავნებინათ წყარო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის საფუძველზე, რაც ათავისუფლებს ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულებისგან. ამის მიუხედავად, ადვოკატმა დაადასტურა ჟურნალისტების მზადყოფნა, წარადგინონ აუდიოჩანაწერის ორიგინალი ვერსია, თუ ლეგიტიმური და სათანადო სასამართლო განჩინება იქნება წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც ლევან მამალაძემ<sup>39</sup> განუცხადა ტელეკომპანია იმედს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ყოფილი იუსტიციის მინისტრი გეგმავდნენ ჟურნალისტების მკვლელობას „ქვეყანაში არეულობის“ მიზნით, 11 მარტს შსს-მ ჟურნალისტების – ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის განზრახ მკვლელობის მომზადების მუხლით გამოძიება დაიწყო.<sup>40</sup> შსს-მ მელაძესა და ჩიხლაძეს შესთავაზა სახელმწიფო დაცვა პროგრამაში ჩართვა, მაგრამ ადვოკატის თქმით, დამატებითი ინფორმაცია კონკრეტული რისკების შესახებ მიწოდებული არ ყოფილა. ჟურნალისტებთან დაკავშირებული ყველა ზემოთ აღნიშნული გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

<sup>36</sup> სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის 18 მარტის განჩინება იხ. გიორგი მშვენიერაძის ფეისბუქ გვერდზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v9yOCi>

<sup>37</sup> პროკურატურის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://pog.gov.ge/news/si-1>

<sup>38</sup> მედია კოალიციის განცხადების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wttZE2>

<sup>39</sup> ქვემო ქართლის რეგიონის გუბერნატორი 1994-2003 წლებში, რომელიც გამოძალავაში ბრალდების შემდეგ რუსეთში გაიქცა.

<sup>40</sup> დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/405743>



**დასკვნა**



## დასკვნა

პირადი ცხოვრება კვლავ ის სფეროა, რომელიც მუდმივ და გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს.<sup>41</sup> ყველა ბრალდება ფარულ მიყურადებასა და თვალთვალზე, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციით შანტაჟზე დროულად და ეფექტურად უნდა იქნას გამოძიებული და სასამართლოს მიერ განხილული. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის თანახმად,<sup>42</sup> სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება 2015-2017 წლებში დაიწყო. საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ მოუწოდებს პროკურატურას უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობა, რათა შესაძლებელი იყოს გამოძიების ეფექტურობის ობიექტური შეფასება.

108+ კონვენციის დროული ხელმოწერა და რატიფიკაცია, GDPR- ის და კონვენციის დებულებების შესაბამისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მიღება და ეფექტიანი აღსრულება, ადამიანის უფლებებსა და შეპირისპირებულ ინტერესთა შორის ბალანსის უზრუნველყოფა განიხილება ცვლილების მამოძრავებელ ფაქტორებად, რომლებიც გააძლიერებს საჯარო და კერძო სექტორებში მონაცემთა დაცვის ეფექტურობას, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებებს, ასოცირების შეთანხმებისა და ადამიანის უფლებათა სტრატეგიის პრიორიტეტების განხორციელებას.

<sup>41</sup> Implementation of the national strategy for protection of human rights in Georgia 2014-2020, report is prepared by the independent human rights expert Maggie Nicholson, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yucqpk>

<sup>42</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის 154 გვ., ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>



